თორნიკე გოგლიძე •

სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: შედარებითი ანალიზი

აბსტრაქტი

სტატიაში კვლევა ჩატარებულია აღმოსავლეთევროპულ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის ტენდენციების შესასწავლად და გასაანალიზებლად. ნაშრომის მიზანია იმ ძირითადი მიზეზების გამოვლენა, რომლებიც ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობას განაპირობებს. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, მათ შორის სიღრმისეული ინტერვიუები და სამეცნიერო და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა. ასევე, შემთხვევის შესწავლა და დოკუმენტების ანალიზი. კვლევაში ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობა პარეტოს, მოსკასა და მიხელსის ელიტისტური თეორიის საშუალებით არის ახსნილი. აქედან გამომდინარე ჩამოყალიბდა ორი დაშვება: პირველი - პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართულობას მათი პოპულარობა და ცნობადობა განაპირობებს. მეორე - პოპულარული სპორტსმენები პარტიულ პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, პარტიის რეიტინგის ზრდაზე მეტ აქცენტს აკეთებენ, თავიანთი პოპულარობის გამოყენებით, ვიდრე პოლიტიკურ საქმიანობაზე. წინამდებარე სტატია ფოკუსირებულია, დაადასტუროს ან უარყოს არსებული დაშვებები. აღნიშნული კვლევა გარკვეულწილად წარმოადგენს სიახლეს, ვინაიდან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ქართული აკადემიური ლიტერატურის რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

• პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრანტი, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი.

საკვანძო სიტყვები: სპორტსმენები, პოლიტიკა, პოსტსაბჭოთა, პარტია, ელიტა.

შესავალი

სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის თაობაზე საზოგადოებაში უამრავი საპირისპირო მოსაზრება არსებობს (Coakley, 1994). საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკა და სპორტი უნდა გაიმიჯნოს და ეს ორი სფერო ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია და მათ შორის არსებული მჭიდრო ურთიერთკავშირი აუცილებლად იმსახურებს დანახვას. სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის ძიება ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთიდან შეგვიძლია, დავიწყოთ. აქ ჩვენ ვხვდებით ათლეტების მიერ ქალაქ-სახელმწიფოების საწინააღმდეგო ბოიკოტებს და შემდგომ მათ დაჯარიმებასაც (Crowther, 1996). მაშასადამე, უძველესი დროიდან მოყოლებული სპორტი გავლენას ახდენდა პოლიტიკაზე და პირიქით. კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც სპორტისა და პოლიტიკის კავშირს გვაჩვენებს აშშ-ს უკავშირდება. ამერიკის ახალი შტატები ბრიტანელთა კოლონიური მმართველობის ქვეშ როდესაც იყო, სპორტი იყო საშუალება, რომლითაც ისინი დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებულ იდენტობას იყალიბებდნენ. შედეგად, ამ გზით ისინი დამოუკიდებლობისთვისაც იბრძოდნენ (Zirin, 2008). ამას ემატება ისიც, რომ ბევრ პოლიტიკურ ფიგურას, მათ შორის რიჩარდ ნიქსონს, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად სპორტული მაგალითი საკუთარი პოლიტიკური ინიციატივებისა და ქმედებებისათვის გამოუყენებიათ (Nam, 1996). ზემოაღნიშნული მაგალითები ნათლად ასახავს სპორტსა და პოლიტიკას შორის არსებულ ძლიერ კავშირს.

სპორტისა და პოლიტიკის კავშირის მაგალითები გვხვდება ცივი ომის პერიოდშიც. აშშ-ში სპორტისა და პარტიული პოლიტი-

კის კავშირის პირდაპირი პრეცედენტი მოიპოვება. ამერიკელი კალათბურთელი ბილ ბრედლი, კარიერის დასრულებისთანავე პოლიტიკურ საქმიანობას შეუდგა. ის დემოკრატიული პარტიიდან აშშ-ს სენატშიც აირჩიეს და 1978 წლიდან, ექვსი წლის განმავლობაში იკავებდა სენატორის თანამდებობას. ბრედლის პოლიტიკური კარიერის მთავარი მიღწევა მხოლოდ სენატორობა არ ყოფილა. მან დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატობაც გადაწყვიტა, თუმცა 1999 წელს, ალ გურთან დამარცხდა (Britannica, 2024). ცივი ომის პერიოდის მაგალითები ამით არ მთავრდება. კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ისევ აშშ-ში მოხდა. ეს სპორტსმენი ბობ მატიასია, რომელმაც ბეისბოლის მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ საჯარო პოლიტიკაში გადაინაცვლა და აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი 1967-1975 წლებში იყო. მატიასი რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო და ხშირად ინტერესდებოდა ისეთი საჯარო პოლიტიკის საკითხებით, როგორიცაა ჯანმრთელობა, განათლება და სოციალური კეთილდღეობა (britannica.com, 2024). მაშასადამე, ცივი ომის პერიოდში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ყოფილი სპორტსმენები პირდაპირ პარტიულ პოლიტიკაში იწყებენ მოღვაწეობას და საჯარო პოლიტიკური რეფორმების განხორციელებაში შეჰქონდათ საკუთარი წვლილი. მსგავსი მაგალითები სხვა სახელმწიფოებშიც არსებობს - რომარიო, ყოფილი ფეხბურთელი, ბრაზილიის საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყო (BBC.com, 2013). ზუსტად იგივე შემთხვევაა ბულგარელი ლეგენდარული ფეხბურთელის, ჰრისტო სტოიჩკოვის წარსულიც. ისიც, რომარიოს მსგავსად საკუთარი ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი გახდა (novinite.com, 2009). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სპორტსმენების საჯარო პოლიტიკაში გააქტიურება არის ზოგადი ტრენდი, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებშიც შეინიშნება. მაგალითისათვის, ყოფილი მოკრივე, ვიტალი კლიჩკო კიევის მერის თანამდებობასაც იკავებდა (Politico,

2013). რუსეთშიც მრავლად გვხვდება მსგავსი შემთხვევები. აქედან ერთ-ერთი ვიაჩესლავ ფეტისოვია, რომელიც წარსულში ჰოკეისტი გახლდათ, შემდგომ კი რუსეთის „დუმის“ წევრობითაც დაგვამახსოვრა თავი (zarubezhnye-aktivy.istories.media, 2016).

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, აქ აშშ-სგან განსხვავებული ვითარება იყო. ცივი ომის პერიოდში, აშშ და სსრკ ცხოვრების ყველა სფეროში უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ საბჭოთა სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, ყოფილი სპორტსმენები საბჭოთა პარტიულ პოლიტიკაში თითქმის არ გვხვდებიან. მათ ვერ აღმოვაჩენთ ვერც მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე. ამას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ კომუნისტური პარტია საკმაოდ ჰომოგენური და ჩაკეტილი იყო, შესაბამისად, პოლიტიკურ თანამდებობებს ძირითადად სანდო კადრები, კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლები იკავებდნენ (Holmes, 2009). ამდენად, სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის ტენდენცია, ფაქტობრივად, არ არსებობდა (Holmes, 2009). სსრკ-ს დაშლის შემდგომ, 15-მა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მათ მიეცათ საშუალება, ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი ჩამოეყალიბებინათ. ამის შემდგომ, ძალიან ბევრი ყოფილი სპორტსმენი პარტიულ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო (online.norwich.edu, 2021). ფაქტი ერთია, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთევროპულ სახელმწიფოებში სპორტსმენები აქტიურად ერთვებიან პარტიულ პოლიტიკაში, მაშასადამე, დღეს აღნიშნული ტენდენცია გვაქვს სახეზე, რაც საკითხის **აქტუალურობაზე** მიუთითებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული რეალობის გათვალისწინებაა. მართლაც, ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკაში და პარტიულ საქმიანობაში ინტეგრაციას მრავალი ფაქტი ადასტურებს. მაგალითად, ქალაქ გორისა და დედაქალაქ თბილისის სათავეში ყოფილი სპორტსმენები გვევლინებიან. ასევე მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“, 2020 წლის პარტიულ სიაში ვხედავთ ყოფილ

სპორტსმენებს: კახა კაჭარავას, მიხეილ ყაველაშვილს, ლევან კობიაშვილს, ვიქტორ სანიკიძეს (formulanews.ge, 2020). განსაკუთრებით მზარდი ეს ტენდენცია ბოლო წლებშია. დღეს ჩვენ ვადევნებთ თვალს ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის საკმაოდ აქტიურ პროცესს, რომელიც დღითიდღე უფრო **ტენდენციური** ხდება.

კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული მიმოხილვა

აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის **მიზანია** ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე. კვლევის **ამოცანებია**:

- სპორტისა და პარტიული პოლიტიკის კავშირის ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა;
- საკითხის გარშემო პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში არსებული ტენდენციების გამოვლენა და მათი შედარებითი ანალიზი;
- საკვლევი საკითხის ირგვლივ მიზნობრივი ინტერვიუების ჩატარება და დარგის ექსპერტის(ების) მოსაზრებების გაცნობა;
- კვლევის პროცესში მიღებული შედეგების ჩამოყალიბება და დასკვნების გაკეთება.

სტატიის კვლევის **ობიექტია** ის ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც აქტიური სპორტული ცხოვრებიდან გადავიდნენ პარტიულ პოლიტიკაში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე **საკვლევი კითხვები** შემდეგნაირად ფორმირდება:

1. რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში?
2. რა თავისებურებებით ხასიათდება ყოფილი სპორტსმენების პარტიული პოლიტიკური საქმიანობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში?

მაშასადამე, შეგვიძლია გამოვკვეთოთ ორი მთავარი **დაშვება**:

1. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართულობას პარტიების შეთავაზებები განაპირობებს, რაც აღნიშნული სპორტსმენების პოპულარობის შედეგია;

2. ყოფილი სპორტსმენები პარტიულ პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, პარტიისადმი ლოიალური საქმიანობით გამოირჩევიან.

რაც შეეხება ცვლადების **კონცეპტუალიზაციასა** და **ოპერაციონალიზაციას**. უშუალოდ სპორტსმენების კონცეპტუალიზაცია, ანუ განმარტება ასეთია: ათლეტი არის პროფესიონალი ადამიანი, რომელიც რეგულარულად ჩართულია ფიზიკურ აქტივობებში და მონაწილეობს სპორტულ ღონისძიებებში (De La Garza & Adami, 2020). მისი ოპერაციონალიზაცია კი მისი მიღწევებისა და ტიტულების შედეგად შეიძლება. რაც შეეხება პოპულარობის კონცეპტუალიზაციას, ის გულისხმობს სოციალურ, საზოგადოებრივ ძალაუფლებას და ცნობადობას (philosophy.lander.edu, 1997). პოლიტიკური საქმიანობის განმარტება კი შემდეგნაირადაა შესაძლებელი: პოლიტიკური აქტივობა მოიცავს ინდივიდების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების ქმედებებსა და ქცევებს, რომლებიც მიზნად ისახავს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მოხდენას ან უშუალო ჩართვას (participation, 2022). რაც შეეხება პარტიისადმი ლოიალურობის კონცეპტუალიზაციას, ეს არის პარტიული იდენტიფიკაცია ან პარტიისადმი ერთგულება ინდივიდის მიერ. ეს ნიშნავს სტაბილურ ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან, რაც გავლენას ახდენს პირის პოლიტიკურ დამოკიდებულებებზე. პარტიული ლოიალობა, როგორც წესი, ვლინდება პარტიის კანდიდატებისა და პოლიტიკის თანმიმდევრული მხარდაჭერით, რასაც ხშირად თან ახლავს დაპირისპირებული პარტიების უარყოფითი შეხედულება (britannica.com, 2023).

კვლევის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია პარეტოს, მიხელსისა და მოსკას (1935) თეორია, რომელიც პოლიტიკური ელი-

ტების კონცეფციას გვთავაზობს. ელიტა არის პატარა ჯგუფი, რომელსაც სხვა ჯგუფებთან შედარებით მეტი წვდომა აქვს რესურსებზე, ამრიგად, მათ უფრო უმარტივდებათ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა. ჩვენს შემთხვევაში, ელიტად შეგვიძლია სახელოვანი სპორტსმენები მივიჩნიოთ. მათი იმიჯი, სახელი, წარსული, ხალხის სიყვარული და რეპუტაცია ქმნის საფუძველს, რომ მათ სხვებთან შედარებით მეტად პრივილეგირებული პოზიცია უკავიათ. ამდენად, მათ უმარტივდებათ პოლიტიკაში ჩართვა, პარტიებში ინტეგრაცია და პოლიტიკის ავანგარდში თავის დამკვიდრება. ვფიქრობ, აღნიშნული თეორიის ფარგლებში საკვლევი მიზნის განხილვა მიზანშეწონილია, ვინაიდან ქართულ და პოსტსაბჭოთა რეალობაში უამრავი შემთხვევა იკვეთება, როდესაც ყოფილი სპორტსმენები კარიერის დასრულების შემდგომ პოლიტიკურ კარიერას იწყებენ. წარმატებულ ყოფილ სპორტსმენებს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური პარტიები, რადგან მათ აქვთ შესაბამისი გავლენა, ყურადღება, რეპუტაცია და საზოგადოების მხრიდან ნდობა. ამდენად, პარტიების ინტერესია, მიიზიდონ წარმატებული, ცნობადი სახეები, რასაც საკუთარი რეიტინგის გასაუმჯობესებლად გამოიყენებენ. შესაბამისად, ყოფილი ათლეტების ელიტად კლასიფიცირება რელევანტურია, რადგანაც მათი გავლენა, შესაძლებლობები და რაოდენობა გვაძლევს ამის აღნიშვნის საშუალებას.

კვლევის პროცესში გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის სამი მეთოდი:** შემთხვევის აღწერითი და ინსტრუმენტული შესწავლის მეთოდი, დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის პროცესში განხილულია აკადემიური ლიტერატურა, სტატიები, სტატისტიკური მონაცემები, კვლევის ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია. ლიტერატურა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიების მიზნით შეირჩა. რაც შეეხება ინსტრუმენტულ შესწავლა/ანა-

ლიზს, შეირჩა პოსტსაბჭოთა **სახელმწიფოები**: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და საქართველო. ყურადღება დაეთმო აღნიშნულ სახელმწიფოებში არსებულ კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობას უკავშირდება. აღწერის შედეგად მიღებული დასკვნის შესაბამისად გაანალიზდა კონკრეტული მაგალითები. შეირჩა რვა ექსპერტი, რომლებთანაც **ნახევრად სტრუქტურიზებული სიღრმისეული ინტერვიუს** სახით (იხ. დანართი N2) პირისპირი და ონლაინ ინტერვიუები ჩატარდა. კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების ექსპერტები: „კავკასიური სახლი“, „მისისიპის უნივერსიტეტი“, „ტორონტოს უნივერსიტეტი“, „სეტანტა სპორტსი“, „სილქ-სპორტსი“, „რადიო თავისუფლება“, „მასკინგამის უნივერსიტეტი“ (იხ. დანართი N1).

თითოეულ შემთხვევაში რესპონდენტთა და ინტერვიუერის მხრიდან დაცული იყო კვლევითი **ეთიკის** სტანდარტები და მიღებული იყო ინფორმირებული თანხმობა. ინტერვიუები ჩატარდა 2024 წლის აპრილ-მაისის თვეში. **ინტერვიუს ხანგრძლივობა** შეადგენდა 30-40 წუთს. ცხადია, სიღრმისეული ინტერვიუს აუდიოჩანაწერიც გაკეთდა, რა თქმა უნდა, რესპონდენტების თანხმობის საფუძველზე, რამაც მოგვცა საშუალება, გაგვეკეთებინა **ტრანსკრიპტი, კოდირება და მონაცემთა შემდგომი კატეგორიზაცია.**

სპორტისა და პოლიტიკის მჭიდრო კავშირი 21-ე საუკუნეში განსაკუთრებით ცხადი ხდება (Meeuwsen, 2022). სპორტს მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. ისინი არ არიან მხოლოდ გულშემატკივრები, ხშირად ეს ადამიანები ფანატიკურად უჭერენ მხარს საკუთარ სპორტსმენს, გუნდს (Qadeer, 2021). მაშასადამე, სპორტმა შესაძლოა ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის დაძაბოს ან დაათბოს. ნაშრომში „Power Politics of Sorts in International Relations and Its Effects on Cricket“ (2021), აბდულ ქადერი ამ ყველაფრის ორ მაგალითს გვთავაზობს: ერთი შემთხვევა

ჰონდურასსა და ელ სალვადორს შორის მომხდარი ე.წ „ფეხბურთის ომია“, რომელმაც ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მეტად დაძაბა, ხოლო მეორე, რომელმაც ურთიერთობები დაათბო და სისხლისმღვრელი ომი მცირე ხნით „გააჩერა“, ე.წ. „შობის საფეხბურთო ზავია“, როცა პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელმა და ბრიტანელმა ჯარისკაცებმა ომი დროებით დაივიწყეს, სანგრებიდან ამოვიდნენ და ფეხბურთის თამაში დაიწყეს (Qadeer, 2021). ნათქვამი ნათლად წარმოაჩენს სპორტის მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან მისი მასშტაბები იმდენად დიდია, რომ მას უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძვრების განხორციელება შეუძლია.

უნდა ვისაუბროთ პროპაგანდაზეც და არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ სპორტს მრავალი მმართველი იყენებდა და იყენებს საკუთარი „შავი“ საქმეების ჩამოსარეცხად. ამას „სპორტსვოშინგი“ ეწოდება და მისი მაგალითი საქართველოს მეზობლად მოიძებნება. როგორც დავით ქუტიძე (2022) თავის ნაშრომში აღნიშნავს რამზან კადიროვი, ზემოაღნიშნულ ტექნიკას ხშირად მიმართავს და ცნობად სახეებს, განსაკუთრებით სპორტსმენებს, საკუთარ სახელმწიფოს დადებითად წარმოაჩენინებს ხოლმე.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელიც სპორტსა და პოლიტიკას აკავშირებს ნაციონალიზმია. სტივენ რაითი (1977) ასკვნის, რომ იმდენად მნიშვნელოვანია ეროვნულობა, სამშობლო და პატრიოტიზმი სპორტსმენებისათვის, რომ მათთვის ოლიმპიური თამაშები ომთან ასოცირდება. ამ მოსაზრებაში მოიძებნება სიმართლე, ვინაიდან, უბრალოდ სპორტსმენების დამოკიდებულება ჰიმნის, დროშის, გერბის მიმართ ცხადყოფს მათთვის ეროვნულობის იდეის მნიშვნელობას. სწორედ ნაციონალიზმზე საუბრისას უნდა მოვიშველიოთ ნინო სამხარაძის (2017) ნაშრომი - „ფეხბურთი და ნაციონალიზმი საქართველოში 1960-1980-იან წლებში“, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირში ფეხბურთს შეეძლო ქართველი ხალხი კონსოლიდაცია და ის, ფაქტობრივად, ერთადერთი გზა იყო.

საინტერესოა თუ რა ვითარებაა სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების თვალსაზრისით 21-ე საუკუნეში. დღეს ვხვდებით ასეთ მოცემულობას: ფაქტობრივად, სპორტული ქიშპი, დასავლეთის განვითარებულ და შედარებით არადემოკრატიულ ქვეყნებს შორის, პოლიტიკურშიც გადაიზარდა (Makarychev & Yatsyk, 2016). ეს ძირითადად იმით ვლინდება, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნები ერთმანეთს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის უფლების მოპოვებაში უპირისპირდებიან. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ მეეუვსენისა და კრეფტის (2022) სტატია, სადაც ავტორები შემდეგ მსჯელობას ავითარებენ, რომ მიუხედავად ავტონომიურობისა, სპორტსმენებს სულ უფრო მეტი და მეტი რეგულაცია უწესდებათ და ვერ გამოხატავენ საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ვფიქრობ, ეს აზრი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან დღეს, სპორტსმენებს აქვთ ყველანაირი პლატფორმა საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად. მაგალითად, ჯორჯ ფლოიდის ტრაგედიის შემდგომ, NBA-ს (ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის) ყველა მოთამაშემ მაისურზე „Black Lives Matter" სლოგანი დაიწერა, ასევე ინგლისის საფეხბურთო პრემიერლიგის შეხვედრების დაწყებისას უამრავი ფეხბურთელი იმუხლებოდა შავკანიანთა სოლიდარობის ნიშნად. მაშასადამე, ამის თაობაზე სპორტსმენები არავის შეუზღუდავს და ამიტომ, ზემოაღნიშნული დებულება მცდარია. სპორტმა ასევე შესაძლოა გარკვეულწილად პოლიტიკური რეჟიმის ხარისხიც განსაზღვროს. ამაზე მიუთითებენ ჯონათან შენი და კორტნი შრიმპტონი (2021), რომლებიც ავითარებენ თეზისს, რომლის მიხედვითაც, სპორტის არსებობა ამერიკულ პოლიტიკაში დემოკრატიული იდეალების გაღვივებას უწყობს ხელს და ეს ცხადია, დემოკრატიისათვის დადებითი მოვლენაა.

სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობა ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ. პირველი, როდესაც სპორტსმენები ჩართულნი არიან პარტიულ პოლიტიკაში, როგორც სხვადა-

სხვა “ბინძური” საქმის შემსრულებლები, როცა ისინი საკუთარ ფიზიკურ ძალას იყენებენ პარტიული პოლიტიკის წარმართვისთვის (Youtube.com, 2021). მეორე მიმართულება კი უშუალოდ პარტიის ზედა ეშელონებში, უმაღლეს თანამდებობებზე, სპორტსმენების დანიშვნას ეხება. როდესაც მათი იმიჯის გამოყენებით საზოგადოებისთვის დადებითი პირების პოლიტიკაში ჩართვა ხდება და, შესაბამისად, ელექტორალური მხარდაჭერის მიღებაც მოსალოდნელია. ამას აღნიშნავს ნოდარ დარსანია (2023) და მსჯელობას ავითარებს სწორედ იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურ ელიტაში აუცილებელია საუკეთესო იმიჯის, წარსულისა და ღირსების მქონე პირთა მოზიდვა. რაც შეეხება პირველ მიმართულებას, აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ოთარ კვანტრიშვილი, რომელიც რუსეთში პარტია „სპორტულ რუსეთს” ხელმძღვანელობდა (Youtube.com, 2021) და საკუთარი პარტიის წევრ სპორტსმენებს მუდმივად კონკურენტი პარტიების ან ბიზნესის წარმომადგენლების დასარბევად იყენებდა.

სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართვა უმეტესწილად მათი პოპულარობის მაღალი დონით და ცნობადობითაა განპირობებული. ისინი უბრალოდ დადებით ელემენტებად აღიქმებიან და შესაბამისად მხარდაჭერაც დიდი დოზით აქვთ. სწორედ ამაზე დაყრდნობით აღნიშნავს ნიკოლას სალასარ-სუტილი (2008), რომ დიეგო მარადონა იმდენად გამოჩენილი და ცნობადი პიროვნება იყო, რომ ის ყველა სიმბოლურ, რელიგიურ და პოლიტიკურ პიროვნებაზე მაღლა იდგა. აქედან გამომდინარე ცხადად ჩანს ის, რომ სპორტსმენებისადმი, განსაკუთრებით კი ლეგენდარული სპორტსმენებისადმი არსებობს განუზომელი, ფანატიკური მხარდაჭერა და საკუთარი თავის გაიგივება. ეს კი, საბოლოოდ, განაპირობებს იმას, რომ ისინი პარტიულ საქმიანობაშიც, ადმინისტრაციულ თანამდებობებზეც და კაბინეტებშიც მარტივად ხვდებიან.

აღსანიშნავია, რომ ჰულიჰანისა და ჟენგის (2017) ხედვით, ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობა ძირი-

თადად პატარა სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით საქართველო კარგი მაგალითია.

საინტერესოა მიმოვიხილოთ მაიერის, გერკესა და მუტცის (2023) კვლევა. მათ ყოფილი ათლეტების პოლიტიკაში ჩართულობის თაობაზე კვლევა გერმანიაში ჩაატარეს და ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივიდნენ, რომ მეტად მემარცხენე, ტოლერანტული და პოლიტიკურად აქტიური რესპონდენტები უფრო გამოირჩეოდნენ პოლიტიკაში ჩართული სპორტსმენების მიმღებლობით. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დეკლარირებული პოლიტიკური იდეოლოგიები შესაძლოა მოცემული საკითხის ერთ-ერთი ამხსნელი იყოს.

საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად, მისმა ხანგრძლივობამ, ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირია. მართლაც, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (Lishchynska, 2023). როგორც მატეი სილეჩკი (2012) აღნიშნავს, ამ სახელმწიფოებს სპორტის მასშტაბური ტრადიცია აქვთ, თუმცა პოლიტიკასთან ასეთი მჭიდრო კავშირი მეტად თვალშისაცემია.

რუსეთში, ყოფილი სპორტსმენების პარტიული პოლიტიკოსის კარიერა საკმაოდ ხშირია. მაგალითად: ანატოლი კარპოვი, ალექსეი ვოიეოვოდა, ალექსანდრ კარელინი, ალინა კაბაევა, მარატ საფინი - ეს არასრული ჩამონათვალია იმ რუსი სპორტსმენებისა, რომლებიც პოლიტიკაში იყვნენ, ან არიან ჩართულნი (Romano, 2022). მართლაც, როგორც ukraineworld.ge (2023) მიუთითებს, როდესაც საქმე რუსეთს ეხება, აქ შეუძლებელია სპორტი და პოლიტიკა გაიმიჯნოს. ამის მთავარი მიზეზი კი პუტინის მიზანმიმართული პოლიტიკაა, რომელიც სპორტსმენებთან, კულტურის წარმომადგენლებთან და უბრალოდ პოპულარულ ადამიანებთან სიახლოვეს

გულისხმობს (scmp.com (2022). ის იყენებს მათ ავტორიტეტს და თითქმის შეუძლებელი ხდება მისგან თავის დაღწევა. სწორედ ამიტომ, ძალიან მცირე იყო იმ სპორტსმენთა რაოდენობა, რომელთაც უკრაინაში მიმდინარე ომი საჯაროდ დაგმეს და გააკრიტიკეს.

დავაკვირდეთ უკრაინასაც, სადაც ასევე უამრავი სპორტსმენ-პოლიტიკოსი გვეგულება. მათი ბოლო ოლიმპიური ჩემპიონი, ჟან ბელენიუკი უკვე პარლამენტის წევრია (Aljazeera, 2022), აღსანიშნავია ისიც, რომ ის პირველი შავკანიანი პარლამენტარია უკრაინის ისტორიაში. დევიდ ჰასანის (2019) თქმით, დიდი მნიშვნელობა აქვს კორუფციისა და ნეპოტიზმის დონესაც როდესაც ამ საკითხს ვეხებით. პოსტსაბჭოთა სივრცე სწორედ კორუფციისა და ნეპოტიზმის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ვერც შუა აზიაში ვიპოვით განსხვავებულ სურათს. აიდარ მახმეტოვი (2019) მიუთითებს, რომ სერიკ კონაკბაიევი, ყოფილი მოკრივე დიდი ხნის განმავლობაში იყო ყაზახეთის პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი. ფაქტია, აღნიშნული პიროვნებები საზოგადოებისთვის მისაღებ ელემენტებად ითვლებიან და შესაბამისად, მათი გზა პოლიტიკისაკენ უფრო მარტივი აღმოჩნდება ხოლმე.

რაც შეეხება საქართველოს, აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მოიმატა პოლიტიკაში ჩართული სპორტსმენების რიცხვმა. ყველაზე თვალშისაცემი ის ფაქტია, რომ ყველაზე დიდი გუნდური სპორტული სახეობების ფედერაციების სათავეში მმართველ გუნდთან დაახლოებული პირები დგანან (radiotavisupleba, 2023). ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლევან კობიაშვილი, ამავდროულად დეპუტატია. იმავეს თქმა შეგვიძლია კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვიქტორ სანიკიძეზე. ხოლო, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელი, იოსებ ტყემალაძე, ასევე „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირია (radiotavisupleba, 2021). მაშასადამე, ქართული ტენდენციაც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსია, სადაც დიდი ყურადღება ეთმობათ პოპუ-

ლარულ ადამიანებს, სპორტსმენებს, რომლებსაც უხვი მხარდაჭერა, პატივისცემა და გულშემატკივრობა უმაგრებთ ზურგს. ეს ყოველივე ხშირად პოლიტიკურ მხარდაჭერაშიც ითარგმნება, რაც საბოლოოდ, გვაჩვენებს, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში უამრავი სპორტსმენია ჩართული.

კვლევის შედეგები და დისკუსია

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის პრაქტიკა არცთუ იშვიათია. წინამდებარე თავის მიზანია დაგვანახვოს, თუ რა განაპირობებს ამ ტენდენციას და რატომ გვხვდება აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში. ამ თავში არსებული პრეცედენტები ეხება კონკრეტულ სახელმწიფოთა გამოცდილებას. განხილული იქნება შემდეგი ქვეყნების მაგალითები: უკრაინა, რუსეთი, ბელორუსი, ესტონეთი, საქართველო.

უკრაინის მაგალითი

უკრაინა, სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის მაგალითებით მდიდარია. საუბარი უნდა დავიწყოთ ვიტალი კლიჩკოთი, რომელმაც აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდგომ, პოლიტიკას მიაშურა. კლიჩკო ჯერ კიდევ 2004 წელს, უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის დროს გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ხელისუფლებაში მოსვლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა (Britannica.com, 2024). კლიჩკო წარმატებული სპორტსმენი იყო. მას პროფესიონალური კრივის კარიერაში დაფიქსირებული აქვს 45 გამარჯვება და მხოლოდ ორი მარცხი (Boxrec.com, 2024). უნდა აღინიშნოს, რომ მისი პოლიტიკური კარიერაც საკმაოდ წარმატებული გამოდგა, ვინაიდან იგი ორი ვადით გახლდათ დედაქალაქ კიევის მერი, ხოლო შემდ-

გომ ამისა, უშუალოდ პოლიტიკური პარტიის ლიდერი გახდა (Britannica.com, 2024). პარტიას სიმბოლური სახელი „დარტყმა“ შეარქვა (აკრონიმი იშიფრება შემდეგნაირად: „UDAR” - უკრაინის დემოკრატიული რეფორმების ალიანსი“). აღნიშნული პარტია დიდი პოპულარობით სარგებლობდა უკრაინაში და მათ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 40 მანდატიც მოიპოვეს (Britannica.com, 2024). ისინი მაშინდელ პრეზიდენტს, ვიქტორ იანუკოვიჩს და მის მმართველ პარტიას აქტიურ ოპონირებას უწევდნენ. კლიჩკო აქტიურ დემონსტრანტთა სიაში იყო 2014 წლის „მაიდანის“ მოვლენების დროსაც. ამ მოვლენების შემდგომ ის ხელმძღვანელობდა პრეზიდენტ პეტრო პოროშჩენკოს ბლოკს - „სოლიდარობა“ (Britannica.com, 2024). 2015 წელს კი კიდევ ერთხელ გახდა ქალაქ კიევის მერი.

კიდევ ერთი გამოჩენილი სპორტსმენი, რომელიც პარტიულ პოლიტიკაში ჩაერთო ანდრეი შევჩენკოა. ის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება და უმაღლესი საფეხბურთო ჯილდო, „ოქროს ბურთიც“ აქვს მოგებული (topendsports.com, 2024). შევჩენკოს პოლიტიკური კარიერა, კლიჩკოსგან განსხვავებით, ხანმოკლე და სუსტი აღმოჩნდა. მან პოლიტიკურ პარტია „წინ უკრაინას“ (Ukraine - Forward!) მიაშურა, რომელიც წლების განმავლობაში პრემიერ მინისტრ იულია ტიმოშჩენკოს ოპოზიციურ საპარლამენტო ძალას წარმოადგენდა (dw.com, 2012). მიუხედავად ამისა, ანდრეის პოლიტიკური კარიერა ვეღარ განვითარდა და ყოფილმა ფეხბურთელმა პოლიტიკური სცენა მალევე დატოვა.

ყურადღება უნდა დავუთმოთ კიდევ ერთ გამორჩეულ სპორტსმენს, რომელმაც განსაკუთრებული პრეცედენტი შექმნა უკრაინულ პოლიტიკაში. ჟან ბელენიუკი ტოკიოს 2021 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში. ამის შემდგომ კი შეუერთდა ამჟამინდელ მმართველ პარტია - „ხალხის მსახურს“ და უკრაინის უმაღლესი „რადას“ (უკრაინის

პარლამენტი) დეპუტატიც გახდა. ბელენიუკი უკრაინის ისტორიაში პირველი ფერადკანიანი დეპუტატი გახდა (derstandard.de, 2023).

კიდევ ერთი ყოფილი სპორტსმენი, რომელიც უკრაინის მმართველი პარტიის რიგებშია ოლგა სალადუხა გახლავთ. ის პროფესიონალი სიგრძეზე მხტომელი იყო წლების განმავლობაში. ამის შემდეგ კი პარტიულ პოლიტიკაში გადაინაცვლა და „ხალხის მსახურის“ გუნდს შეუერთდა. ის დღესაც უკრაინის პარლამენტის დეპუტატის მანდატით სარგებლობს (tribune.com.pk, 2023).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ყოფილი სპორტსმენები არ მიდიან მხოლოდ სახელისუფლებო პარტიაში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, კლიჩკო და შევჩენკო, ოპოზიციური ველიდან იბრძვიან. ცხადია, მმართველი პარტიის საქმიანობაში ჩართული სპორტსმენებიც განვიხილეთ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინაში სახეზე გვაქვს ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ინტეგრირების მრავალი მაგალითი, რომელიც უკავშირდება როგორც ოპოზიციურ, ისე სამთავრობო ძალებთან თანამშრომლობას, ანუ ყოფილი სპორტსმენები არიან ორივე პოლიტიკურ მხარეს.

რუსეთის მაგალითი

ისევე როგორც უკრაინაში, რუსეთშიც პარტიულ პოლიტიკაში ჩართული სპორტსმენები მრავლად გვხვდებიან. პირველი ყოფილი სპორტსმენი, რომელიც უნდა ვახსენოთ არის ალექსანდრ კარელინი, რომელიც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე იყო და სერიოზული წარმატებაც ჰქონდა სპორტულ კარიერაში. კარელინი მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონია. მისი შემთხვევაც წააგავს სხვა მაგალითებს, სპორტიდან წასვლის შემდეგ ალექსანდრმა პირდაპირ პარტიული პოლიტიკისკენ აიღო გეზი და 1999 წელს რუსეთის „დუმის“ დეპუტატად აირჩიეს. კარელინის პოლიტიკური მოღვაწეობა ხანგრძლივი გამოდგა. იგი მხოლოდ 2020

წელს დაემშვიდობა დეპუტატის მანდატს. თუმცა, 2020 წლიდან იგი რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრად მოგვევლინა (britannica.com, britannica.com, 2024).

სხვა მაგალითებიც ბევრიზ. სვეტლანა ჟუროვა ცნობილი და წარმატებული ყინულზე მოციგურავე გახლდათ (Speed Ice-skating). სპორტიდან წასვლის შემდგომ კი მმართველ პარტიას „ერთიანი რუსეთი“ შეუერთდა. იგი დეპუტატიც იყო და ამასთან ერთად რუსეთის „დუმის“ საგარეო საქმეთა კომიტეტის პირველი ხელმძღვანელიც იყო (interkomitet.com, 2024). ნიკოლაი ვალუევი კიდევ ერთი წარმომადგენელია იმ ყოფილ სპორტსმენთა სიისა, რომლებიც რუსეთის მმართველი პარტიის რიგებში აღმოჩნდნენ. ვალუევი მოკრივე იყო, ხოლო პოლიტიკურ ველზე 2009 წლიდან გამოჩნდა და მმართველი პარტიის სიიდან შეძლო დეპუტატის სავარძლის დაკავება. აღსანიშნავია შედარებით ახალი ინფორმაცია, რომ ვალუევს თავად ვლადიმირ პუტინმა სთხოვა, უკრაინაში შეერთებოდა რუსულ არმიას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნიკოლაი საკმაოდ დაახლოებული პირია პუტინთან და მის გარემოცვასთან (mirror.co.uk, 2022).

პუტინთან დაახლოებულ ყოფილ სპორტსმენთა სიას ნიკოლაი ვალუევი არ ასრულებს. მის მსგავსად, ალინა კაბაევამაც მმართველი პარტიის ეშელონებში დაიკავა ადგილი მას შემდეგ რაც დაასრულა სპორტული კარიერა. იგი რითმული ტანვარჯიშის ოსტატი იყო და ოლიმპიური ჩემპიონობაც აქვს საკუთარ ბიოგრაფიაში. ალინა 2007 წლიდან არის რუსეთის პარლამენტის დეპუტატი და გამოირჩეოდა მწვავე განცხადებებითა და ინიციატივებით ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვისა და უცხოური ფინანსური კაპიტალით მოსარგებლე არასამთავრობო ორგანიზაციების თაობაზე (palatinate.org.uk, 2016).

მოკლედ რომ შევაჯამოთ რუსული სპორტულ პოლიტიკური ველი შევამჩნევთ, რომ ზემოთ მოყვანილი აბსოლუტურად ყველა სპორტსმენი სახელისუფლებო პარტიასთან თანამშრომლობს. მე-

ტიც ისინი საერთოდ პუტინთან არიან დაახლოებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტსმენი დეპუტატები ხშირად არ გამოირჩევიან ხოლმე პროექტებითა და ინიციატივებით, რაც არც რუსეთშია განსხვავებულად, თუმცა აქ ჩვენ აღმოვაჩენთ ერთ გამონაკლისს, რომელსაც ალინა კაბაევა წარმოადგენს და რომელიც რიგი ინიციატივებით ხდიდა საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებას საინტერესოს.

ბელორუსის მაგალითი

ბელორუსშისაინტერესო შემთხვევას ვხვდებით. ეს ის მაგალითია, როდესაც ყოფილი სპორტსმენი პარტიულ პოლიტიკაშიც იყო ჩართული, მაღალი თანამდებობაც ეკავა და ამასთან ერთად სპორტულ ფედერაციასაც ხელმძღვანელობდა. მაქსიმ რიჟენკოვია ეს ადამიანი, რომელიც წარსულში კალათბურთელი იყო, ხოლო შემდგომ უკვე მეთაურობდა ბელორუსის კალათბურთის ფედერაციას 2014 წელს და 2015-2017 წლებში ბელორუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე პრეზიდენტის თანამდებობასაც იკავებდა (president.gov.by, 2024). შემდეგ მან ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა, რასაც მოჰყვა ისრაელსა და პოლონეთში ბელორუსის საელჩოებში მუშაობა. ყველაზე მაღალი თანამდებობა, რომელიც მან დაიკავა ბელორუსის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფისის თავმჯდომარეობა იყო 2016 წელს. ასევე პრეზიდენტ ლუკაშენკოს მრჩეველიც გახლდათ ფიზიკური აღზრდის, ტურიზმისა და სპორტის სფეროში (rupep.org, 2024).

ბალტიის ქვეყნების მაგალითი

ბალტიის სახელმწიფოებში აშკარა კონტრასტს ვხვდებით სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან შედარებით. აქ ძალიან რთულია, მოძებნო ყოფილი სპორტსმენი, რომელიც პარტიულ პოლიტიკაში კი არა თუნდაც, რომელიმე პარტიასთან ასოცირდება. ასეთი

ადამიანი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა - მადის კალასი, რომელიც წარსულში მძლეოსანი იყო და შემდგომ უკვე პოლიტიკური კარიერა დაიწყო და დღეს ესტონეთის გარემოს დაცვის მინისტრია (err.ee, 2018).

ფაქტია, ბალტიის სახელმწიფოებში აღნიშნული ტენდენცია ფაქტობრივად არ გვაქვს. ჩემი აზრით ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ეს ქვეყნები სხვებთან შედარებით სპორტულად არ არიან მაღალ დონეზე განვითარებულნი, თუმცა ასევე უნდა ითქვას, რომ მათი სიახლოვე ევროპასთან და ზოგადად ევროკავშირის წევრობაც თამაშობს ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან როლს.

საქართველოს მაგალითი

აღნიშნული სტატიის დაწერის მთავარი შთაგონების წყარო ის პროცესია, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება და საქართველოსთვის ტენდენციური ხდება. საქართველოში ძალიან ბევრი მაგალითია ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართვისა და სწორედ ამ მიზეზით, ვფიქრობ, აუცილებელი, მათი უმეტესობა ძირეულად გავაანალიზოთ.

როდესაც სპორტსმენ-პოლიტიკოსებზე ვსაუბრობთ, პირველი ალბათ ყველას კახა კალაძე გვახსენდება. იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია და ქალაქ თბილისის მერის თანამდებობასაც უკვე მეორე ვადით იკავებს. კალაძე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელია. მას „უეფას ჩემპიონთა ლიგის“ ტიტული ორჯერ აქვს მოგებული და საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას 1996-2012 წლებში იცავდა. იგი იყო ნაკრების კაპიტანიც. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა პირდაპირ ეროვნული ნაკრებიდან „ქართული ოცნების“ პარტიაში გადასვლით დაიწყო. ეს 2011 წელს ხდებოდა, როცა „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ოპოზიციური პარტია იყო და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადებოდა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კი კახა

ენერგეტიკის მინისტრი გახდა. ის მინისტრის პოსტს 2017 წლამდე იკავებდა და შემდეგ უკვე დედაქალაქის მერობის ამბიცია გამოთქვა. არჩევნებში გაიმარჯვა და თბილისის მერი გახდა. მისი მთავარი დაპირება იყო, რომ თბილისი იქნებოდა სიცოცხლით სავსე ქალაქი (radiotavisupleba.ge, 2021). კახა კალაძე არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ეხსნებათ გზა ყოფილ სპორტსმენებს პოლიტიკისაკენ, თუ როგორ ადიან მმართველი გუნდის უმაღლეს ეშელონებში.

გავაგრძელოთ საუბარი პარტიულ პოლიტიკაში ჩართულ ყოფილ სპორტსმენებზე და ისეთი ადამიანი განვიხილოთ, რომელიც კალაძის მსგავსად, დღეს, მერის თანამდებობას იკავებს. იგი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი გახლავთ. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მრავალგზის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ 2021 წელს ქალაქ გორის მერობის კანდიდატად წარადგინა. ხინჩეგაშვილმა გაიმარჯვა და დღესაც მერის პოსტს იკავებს. ხინჩეგაშვილს აქტიური პროფესიონალური სპორტის კარიერა დასრულებულიც კი არ ჰქონდა, როცა მერის კანდიდატურა დაიკავა და სწორედ აღნიშნული თანამდებობის გამო მოუწია სპორტიდან წასვლა (radiotavisupleba.ge, 2021).

ქართულ პოლიტიკას კიდევ მრავალი ყოფილი სპორტსმენი ჰყავს. მათ შორის არიან ლევან კობიაშვილი და ვიქტორ სანიკიძე. მათი ერთად განხილვა მნიშვნელოვანია ერთი გარემოების გამო. ისინი დეპუტატობის პარალელურად, ფეხბურთის ფედერაციის (ლევან კობიაშვილი) (radiotavisupleba.ge, 2019) და კალათბურთის ფედერაციის (ვიქტორ სანიკიძე) (radiotavisupleba.ge, 2024) პრეზიდენტების პოსტებს იკავებენ. ორივე მათგანი წარსულში წარმატებული სპორტსმენი იყო და ხალხის სიყვარულითაც სარგებლობდა. სპორტული კარიერის დასრულების შემდგომ ისინი სახელისუფლებო პარტიას, „ქართულ ოცნებას“ შეუერთდნენ და მათ საარჩევნო

სიაშიც მოხვდნენ. სანიკიძეც და კობიაშვილიც დეპუტატების მანდატს ფლობენ და კანონშემოქმედებით საქმიანობაში იღებენ მონაწილეობას (radiotavisupleba.ge, 2024).

„ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატების სია კობიაშვილისა და სანიკიძის გვარებით არ მთავრდება. აქ ჩვენ აღმოვაჩენთ წარსულში საკმაოდ ცნობილ და წარმატებულ ფეხბურთელს, მიხეილ ყაველაშვილსაც. ყაველაშვილი თამაშობდა ევროპის გამორჩეულ გუნდებში (nplg.gov.ge, 2024), შემდეგ კი პოლიტიკური კარიერა დაიწყო და მმართველი პარტიის 2020 წლის საარჩევნო სიაშიც მოხვდა (radiotavisupleba.ge, 2020). მისი კარიერის მსგავსი განვითარება ჰქონდა დავით კაჭარავასაც, რომელიც დიდი რაგბიდან პირდაპირ პოლიტიკაში წავიდა და „ქართული ოცნების“ სიით დეპუტატის მანდატის მოპოვებაც შეძლო (radiotavisupleba.ge, 2020).

სპორტიდან პარტიულ პოლიტიკაში გადასვლის მაგალითები ქართული პოლიტიკის ოპოზიციურ სპექტრშიც მოიძებნება. მაგალითად, მოჭიდავე და ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (geonoc.org.ge, 2012) ნაციონალური მოძრაობის წევრია და 2020 წლის საარჩევნო სიაშიც იყო წარმოდგენილი (radiotavisupleba.ge, 2020). ასევე ოპოზიციურ ასპარეზზე ვხვდებით ახალ სახესაც. ეს ადამიანი ზურაბ დათუნაშვილია, რომელმაც მოჭიდავის კარიერა დაასრულა და გადაწყვიტა ახალ ოპოზიციურ ძალას „ახალს “ შეერთებოდა (radiotavisupleba.ge, 2024).

საქართველოს შემთხვევების შესწავლამ გვაჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის ტენდენცია აშკარაა. ყოფილი სპორტსმენების უმეტესობა, მმართველ გუნდთანაა დაახლოებული და ისინი სხვადასხვა მიზნით ერთიანდებიან „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში. „ოცნების“ წევრი სპორტსმენი პოლიტიკოსების კლასიფიკაციაც შეგვიძლია მოვახდინოთ. აქ ჩვენ ვხედავთ კახა კალაძეს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი პოლიტიკური ფი-

გურაა და პარტიის დღის წესრიგის განსაზღვრაში აქტიურად მონაწილეობს. ცხადია, კალაძეს, თანამდებობაც უწყობს ხელს. აქვეა ხინჩეგაშვილიც, რომელიც კალაძის მსგავსი გავლენით არ ხასიათდება, თუმცა კახას მსგავსად ისიც ქალაქის მერია. ანუ, „ქართულ ოცნებას“ საკუთარი ტაქტიკის ერთ-ერთ მახასიათებლად აქვს ცნობილი, წარმატებული, გამოჩენილი სპორტსმენების თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებად განმწესება. ჩემი აზრით, ეს საზოგადოების „გულის მოგებაზეა“ გათვლილი და ერთგვარ პოპულისტურ ნაბიჯს წარმოადგენს ხელისუფლების მხრიდან. კლასიფიკაციის მეორე ნაწილში წარმოდგენილნი არიან ისეთი სპორტსმენ-პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი სფეროს სპორტულ ფედერაციებს უდგანან სათავეში და პარალელურად „ქართული ოცნების“ დეპუტატებიც არიან. მათში ლევან კობიაშვილი და ვიქტორ სანიკიძე მოიაზრება. ვფიქრობ, ეს პრეცედენტები ხელისუფლების ავტორიტარიზმისკენ გადახრილობას უსვამს ხაზს, ვინაიდან ხელისუფლება ცდილობს ამ გზით თითქმის ყველა სფერო აკონტროლოს და სხვადასხვა პოზიციებზე საკუთარი პარტიის წევრები ჰყავდეს. შეგვიძლია კლასიფიკაცია გავაგრძელოთ მმართველი პარტიის სხვა წევრებით. ეს ადამიანები სხვა თანამდებობებს არ იკავებენ, უბრალოდ დეპუტატის მანდატით სარგებლობენ. ვფიქრობ, ეს კლასიკური ხერხი იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან, როდესაც საკუთარ პროპორციულ სიაში ზემოაღნიშნული სპორტსმენები შეიყვანეს. ცხადია, მათი ფსონი ცნობად სახეებზე იყო ჩამოსული, რამაც, როგორც ჩანს, გაამართლა. კლასიფიკაციის ბოლო ეტაპზე კი უკვე ოპოზიციონერ ყოფილ სპორტსმენებს ვხვდებით. კვირკველია „ნაცმოძრაობიდან“ და ზურაბ დათუნაშვილი „ახალიდან“. ისინი ტრენდს არ არღვევენ და პარტიულ პოლიტიკაში აქტიურად არიან ჩართულნი, განსხვავება ისაა, რომ ოპოზიციური პარტიების რიგებში არიან. მოკლედ, ჩემი დაკვირვებით, ზემოთ განხილული კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

- მაღალ თანამდებობებზე მყოფი ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც სახელისუფლებო პარტიის წევრები არიან;
- სახელისუფლებო პარტიის წევრი სპორტსმენები, რომლებიც დეპუტატობის პარალელურად იკავებენ ფედერაციების პრეზიდენტების თანამდებობებს;
- სახელისუფლებო პარტიის წევრი ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც დეპუტატები არიან;
- ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც პარტიულ პოლიტიკაში ოპოზიციური ფლანგიდან არიან ჩართულნი.

ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის პრაქტიკა: ძირითადი მიგნებები

წინა თავებში მოყვანილი მაგალითები განხილული იყო სოციალური ფენომენის შესასწავლად. ზემოაღნიშნული მაგალითების მეშვეობით, მოგვეცა საშუალება, უკეთ გავცნობოდით ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში გადასვლის ფენომენს პოსტსაბჭოთა ევროპულ ქვეყნებში და აქედან გამომდინარე, გაგვეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. პირველ რიგში, შემთხვევების შესწავლამ გამოავლინა, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ნაწილში, ყოფილი სპორტსმენები პარტიულ პოლიტიკაში კარიერის დასრულებისთანავე ერთვებიან, ზოგი მათგანი საერთოდ კარიერის დასრულებამდე იწყებს პარალელურად პოლიტიკურ საქმიანობას. ჩემი აზრით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ ქვეყნებში არსებული მოქმედი ხელისუფლებები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცნობადი სახე, გამოჩენილი ფიგურა და უბრალოდ ხალხისთვის მისაღები პიროვნებები დაიახლოვონ, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მათ რეიტინგზე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც ზემოაღნიშნულმა მიმოხილვამ შეგვძინა არის ის, რომ აღმოსავლეთევროპული პოსტსაბჭოთა ქვეყნები სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართ-

ვის თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ბალტიის სამ სახელმწიფოში უფრო ცოტა პოლიტიკაში წასული ყოფილი სპორტსმენი აღმოვაჩინეთ, ვიდრე მხოლოდ უკრაინაში, ან თუნდაც, რუსეთში. ფაქტია, ეს ქვეყნები განვითარების დონითაც წინ არიან დანარჩენებზე და პოლიტიკური პროცესებიც ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ინტეგრაციის გარეშე ხორციელდება.

ფაქტია, რუსეთი ყველასგან განსხვავებული მოვლენაა. რუსეთში აბსოლუტურად ყველა ყოფილი სპორტსმენი სახელისუფლებო პარტიის წევრია და შესაბამისად, ამ პარტიის ინტერესების გამტარი. ეს ყველაფერი გასაგებია, რადგან რუსეთის ავტორიტარული რეჟიმი ცდილობს ყველაფერი აკონტროლოს, მათ შორის ყოფილი სპორტსმენებიც გამოიყენოს საკუთარი ინტერესების გასაძლიერებლად და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, რუსული დამოკიდებულება ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართვაზეც იმავენაირია, როგორიც ზოგადად ავტორიტარულ რეჟიმებს სჩვევიათ ხოლმე. დაახლოებით იგივე ვითარებაა ბელორუსშიც ერთი განსხვავებით, რომ ბელორუსი რუსეთთან შედარებით პატარა სახელმწიფოა, აქ სხვაობა გვაქვს მასშტაბებში, დანარჩენი კი თითქმის მსგავსი სურათია.

მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ იმ მსგავსებას, რომელიც საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში დაფიქსირდა. უკრაინაშიც და საქართველოშიც ვხდებით ყოფილ სპორტსმენებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პარტიულ პოლიტიკაში და მათი პოლიტიკური საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მმართველ პარტიასთან თანამშრომლობით, აქ არიან ოპოზიციონერებიც, მაგალითად კლიჩკო უკრაინაში, კვირკველია და დათუნაშვილი საქართველოში. რა თქვა უნდა, ყოფილი სპორტსმენების უმეტესობა, საქართველოშიც და უკრაინაშიც, სახელისუფლებო პარტიებთან არიან დაკავშირებულნი, მაგრამ სხვაობის მომცემია ის ფაქტი, რომ

ოპოზიციურ სპექტრშიც არის პრეცედენტები. ამ კუთხით საქართველო და უკრაინა სხვა ზემოგანხილული სახელმწიფოებისგან განსხვავდებიან.

საბოლოო ჯამში, ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობა არის აღმოსავლეთევროპული პოსტსაბჭოთა სოციალური ფენომენი. ზემოთ ჩატარებულმა აღწერითმა და ინსტრუმენტულმა შემთხვევის ანალიზმა დაგვანახა, რომ ეს ფენომენი საკმაოდ ფესვგადგმულია. ვხვდებით განსხვავებებს სახელმწიფოთა მიხედვით, თუმცა მთავარი დასკვნა ერთია, ფაქტია, ეს რეგიონი ამ ტენდენციის თვალსაზრისით სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავდება.

საბოლოო ჯამში, აღნიშნული მაგალითების ვიზუალური სქემა შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. სქემა N1):

ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის სქემა სახელმწიფოსა და პოლიტიკური როლის მიხედვით



ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის ტენდენციები: ექსპერტთა შეფასებები

ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ გამოკითხულ ექსპერტთა უმეტესობა, ყოფილი სპორტსმენები პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის ტენდენციებს აშკარად ხედავს. ისინი პირველ რიგში, საქართველოს მაგალითით ხელმძღვანელობენ და პოსტსაბჭოთა აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების მიდგომასაც ქართულ ფენომენთან აიგივებენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის შეჯერებული პოზიცია ჰქონდათ ექსპერტებს იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტი და პოლიტიკა არ უნდა გავმიჯნოთ და ისინი განუყოფელი სფეროებია. მაგალითად, ქართველი სპორტული ჟურნალისტები და პოლიტოლოგებიც აღნიშნავენ, რომ სპორტის პოლიტიკისაგან გამიჯვნა შეუძლებელია, რადგან ის ყველაფერშია, პოლიტიკა ყოვლისმომცველია (ონლაინ ინტერვიუ, 11.05.2024 და ონლაინ ინტერვიუ, 16.05.2024). კიდევ ერთი სპორტული ჟურნალისტის განმარტებით სპორტული სახეობები იმდენად პოპულარული და სახალხოა, რომ მათ პოლიტიკური დღის წესრიგის წარმართვაც შეუძლიათ (პირისპირი ინტერვიუ, 23.04.2024). გამოკითხული რესპონდენტებიდან ერთ-ერთმა, ასევე, სპორტისა და პოლიტიკის უშუალო ურთიერთქმედების მაგალითებიც მოიყვანა და აღნიშნა, რომ სოკრატესი (ბრაზილიელი ლეგენდარული ფეხბურთელი), რომელიც ბრაზილიაში დემოკრატიის განვითარებისთვის იბრძოდა, ზვონიმირ ბობანი (ლეგენდარული ხორვატი ფეხბურთელი), რომელიც დაუპირისპირდა სერბ სამართალდამცავებს იუგოსლავიის სამოქალაქო ომის დროს, არის მაგალითები იმისა, რომ სპორტი და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებული სფეროებია და მათი გამიჯვნა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია (პირისპირი ინტერვიუ, 28.04. 2024). გამოკითხულმა უცხოელმა პოლიტოლოგებმაც იგივე დაადასტურეს და აღ-

ნიშნეს, რომ სპორტი ხშირად ნაციონალური იდენტობის გასაღვივებლად დიდ როლს თამაშობს (ონლაინ ინტერვიუ, 10.04.2024 და 13.04.2024). აღსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი. ქართველი პარტიული პოლიტიკის ექსპერტის მოსაზრებით სპორტსმენები საქართველოს მსგავს სახელმწიფოებში საზოგადოებრივი აზრის ლიდერები არიან ხოლმე და მაშასადამე, მათ ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის ხშირად იყენებს (პირისპირი ინტერვიუ, 22.05.2023). აქედან გამომდინარე, სპორტი და პოლიტიკა უკიდურესად დაკავშირებული ცნებებია. გამოკითხულ ექსპერტთა შორის მხოლოდ ერთადერთი რესპონდენტი იყო ისეთი, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა სპორტისა და პოლიტიკის გამიჯვნა. ეს ადამიანი მოლდოველი სპორტული ჟურნალისტი გახლდათ, რომელმაც აღნიშნა, რომ სპორტისა და პოლიტიკის გამიჯვნა აუცილებელია, ვინაიდან მოლდოვის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ ორი სფეროს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საზოგადოების ინტერესი ძალიან დაბალია, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ გავმიჯნავთ (ონლაინ ინტერვიუ, 18.04.2024).

რაც შეეხება ექსპერტების მოსაზრებას ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის განმაპირობებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, ამ საკითხთან დაკავშირებითაც, გამოკითხულთა მოსაზრებები თითქმის იდენტურია. სპორტული ჟურნალისტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ტენდენციას განაპირობებს სპორტსმენების ცნობადობა, ხალხის მიერ მათი სიყვარული, ბედნიერ მოგონებებთან ასოცირება. ხალხის აზრით, სპორტსმენები რეპუტაციულად სუფთა ადამიანები არიან (ონლაინ ინტერვიუ, 11.05.2024). ხალხის ნაწილს ურჩევნია, რომ ის ადამიანები იყვნენ ხელისუფლებაში, ვინც მათ წარსულში აბედნიერებდა (პირისპირი ინტერვიუ, 28.04.2024). ერთ-ერთმა სპორტულმა ჟურნალისტმა აღნიშნა ისიც, რომ სპორტსმენებს საკუთარი კარიერის განმავლობაში დაგროვებული აქვთ საკმაოდ სოლიდური ფულადი

კაპიტალი. მათ ესაჭიროებათ ამ კაპიტალის დაცვა და ამისთვის პოლიტიკაში მიდიან ხოლმე. სპორტსმენებს სჭირდებათ სიმშვიდე და პოლიტიკა ხშირად ამ სიმშვიდის განმაპირობებელი ფაქტორია (ონლაინ ინტერვიუ, 11.05.2024). უცხოელი ექსპერტების შეფასებით, სპორტსმენები ცნობადობის გარდა ხშირად ადამიანების გარკვეული ნაწილისათვის როლური მოდელები და ინსპირატორები ხდებიან, ამრიგად მათ აქვთ შესაბამისი მასშტაბის მხარდაჭერა (ონლაინ ინტერვიუ, 10.04.2024). ერთ-ერთი უცხოელი ექსპერტის მოსაზრებით კი პოლიტიკური პარტიები ხშირად დგამენ პოპულისტურ ნაბიჯებს და სპორტსმენების მეშვეობით ელექტორატზე მანიპულირებენ (ონლაინ ინტერვიუ, 13.04.2024). რაც შეეხება ქართველ პოლიტოლოგთა მოსაზრებას, მათი ნაწილი მიუთითებს პარტიული პოლიტიკური სტრუქტურის სიმყიფეზე, იდეოლოგიურ სისუსტეზე, აქედან გამომდინარე კი მათი ცნობადობა უბრალოდ პარტიის რეიტინგის გასაზრდელად გამოიყენება (ონლაინ ინტერვიუ, 16.05.2024). კიდევ ერთი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არის შემდეგნაირი: პოსტკომუნისტურ სივრცეში საზოგადოებრივი აზრის ლიდერები ხშირად კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები არიან, მაშასადამე, მათ ხშირად მიმართავენ პოლიტიკური პარტიები საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხსენებულ რეგიონში საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფერო არ არის იმ დონეზე განვითარებული როგორც აღნიშნული სფეროები (ონლაინ ინტერვიუ, 23.05.2023).

ფაქტობრივად ყველა ექსპერტმა აღნიშნა ისიც, რომ სპორტსმენების ცნობადობა და იმიჯი მათ მარტივ გზასაც განაპირობებს პოლიტიკისკენ. პარტიული პოლიტიკის ექსპერტი აღნიშნავს იმასაც, რომ სპორტსმენები, ხშირ შემთხვევაში, ლოიალურად და კონფორმისტულად არიან განწყობილი რეჟიმის მიმართ, რაც განაპირობებს თავის მხრივ იმას, რომ რეჟიმი ამ განწყობას სათავისოდ იყენებს (ონალინ ინტერვიუ, 23.05.2023). აღნიშნული დასკვნა მე-

ორე თავში განხილულმა მაგალითებმაც დაადასტურა. პარტიულ პოლიტიკაში სწორედ ის სპორტსმენები არიან ჩართულნი, რომლებსაც სახალხო აღიარება, სიყვარული და პოპულარობა გამოარჩევდა სხვებისაგან. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან წარმატებული იყო და შესაბამისად, მათმა ცნობადობამ განაპირობა მათი შედარებით მარტივი გზა პოლიტიკისაკენ.

რაც შეეხება არსებული კვლევის გეოგრაფიას, ცხადია, ექსპერტების მოსაზრებას აღმოსავლეთევროპული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში არსებულ ზემოაღნიშნულ ტენდენციაზეც ვკითხეთ. უმრავლესობამ დაასკვნა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების საერთო წარსული და მათი კულტურული და პოლიტიკური ერთგვაროვნება არის იმის განმაპირობებელი, რომ ეს ტენდენცია სწორედ ამ რეგიონში აღინიშნება. სახელმწიფოებრიობის არქონამ და თავისუფლების ძირეული პრინციპების გარეშე ცხოვრებამ საზოგადოებას გაუჩინა მმართველი ძალის კომპლექსი. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს: „სსრკ-ში მინისტრი დიდი კაცი იყო“ (ონლაინ ინტერვიუ, 18.05.2024), მაშასადამე, სპორტსმენებსაც აქვთ მოტივაცია, რომ მაღალი თანამდებობა დაიკავონ და ასევე, პოლიტიკური კულტურაც განაპირობებს იმას, რომ ხალხისათვის ამგვარი ტენდენციის არსებობა არ არის შემაშფოთებელი. მოკლედ, საბჭოთა ისტორიის და კონტექსტის გათვალისწინებით არსებული ტენდენცია ამ რეგიონში არც არის გასაკვირი (ონლაინ ინტერვიუ, 18.05,.2024). ამ ყველაფერს შეგვიძლია დავუკავშიროთ მეორე თავში შესრულებული შემთხვევის ინსტრუმენტული შესწავლა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბალტიის სახელმწიფოები სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით, არ გამოირჩევიან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ექსპერტების შეფასებას დავუკავშიროთ და აღვნიშნოთ, რომ საქართველომ, უკრაინამ და მათმა მსგავსმა სახელმწიფოებმა საბჭოთა სისტემის ბატონობის ქვეშ უფრო დიდი დრო გაატარეს, ვიდრე ბალტიის სახელმწიფოებმა, შესაბამისად ამ

სახელმწიფოებში საბჭოთა ტოტალიტარიზმის კვალი უფრო სერიოზული აღმოჩნდა, რამაც გავლენა სპორტსმენების პოლიტიკაში ჩართულობაზეც მოახდინა.

რაც შეეხება პოლიტიკურ კულტურას, ექსპერტების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებითაც ემთხვევა. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ სწორედ საბჭოთა გამოცდილებამ განაპირობა ის, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში განვითარდა ქვეშევრდომის პოლიტიკური კულტურა (პირისპირ ინტერვიუ, 28.04.2024), რამაც გამოიწვია ის, რომ საზოგადოებაში დაბალია ცნობიერება პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებით და აქედან გამომდინარე, სპორტსმენების პოლიტიკაში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებითაც ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელია გულგრილობა და ნიჰილიზმი (ონლაინ ინტერვიუ, 23.05.2023). უცხოელმა ექსპერტმა ისიც დასძინა, რომ აღნიშნულ რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების ნაკლები განვითარებულობა შეინიშნება. ჰიბრიდული რეჟიმებისათვის ამგვარი პოლიტიკური კულტურის ტიპი დამახასიათებელია. აღნიშნულმა ექსპერტმა ვიქტორ ორბანის (უნგრეთის პრემიერ-მინისტრი) მაგალითიც მოიშველია ჰიბრიდული რეჟიმის საილუსტრაციოდ. ქართველი პოლიტოლოგი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში პოლიტიკური კულტურა მყიფე და ჩანასახობრივია და ამ პოლიტიკური კულტურის ნაწილად ყალიბდება ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკურ პარტიებთან კოოპტაცია, რაც იმისკენაა მიმართული, რომ უბრალოდ ხმა მიიღონ (ონლაინ ინტერვიუ, 16.05.2024).

რა თქმა უნდა, ინტერვიუს პროცესში დავინტერესდით იმითაც, თუ როგორ იცვლება პოლიტიკური პროცესები სპორტსმენების პოლიტიკაში ინტეგრაციის შედეგად. ამ კითხვაზე შემდეგი მოსაზრებები დაფიქსირდა: ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სპორტსმენები დიდად ვერ ცვლიან პოლიტიკურ დღის წესრიგს. მნიშვნელოვანი იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოში პოლიტიკაში,

ყოფნა ეხმარება მათ, გახდნენ საკუთარი სპორტული სფეროს ფედერაციების ხელმძღვანელები (ონლაინ ინტერვიუ, 16.05.2024), რაც მეორე თავში ჩატარებულმა შემთხვევის ანალიზმაც გამოააშკარავა. სხვა მხრივ, ისინი უბრალო პოლიტიკოსებისაგან არ განსხვავდებიან და ხშირად რეჟიმის სამსახურში რჩებიან ხოლმე (ონლაინ ინტერვიუ, 18.04.2024). კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით პოლიტიკას არც ცვლიან ისინი, პოლიტიკა ცვლის მათ. ამ იდეის საილუსტრაციოდ კი რესპონდენტმა მიხეილ ყაველაშვილის მაგალითი მოიშველია (ონლაინ ინტერვიუ, 16.05.2024). ერთ-ერთმა უცხოელმა ექსპერტმა ისიც აღნიშნა, რომ სპორტსმენები მიჩვეულები არიან დიდებასა და სიყვარულს, მათ არ სჩვევიათ კრიტიკის მიღება, შესაბამისად, მათ მოსწონთ თანამდებობით ტკბობა და პოლიტიკური ძალაუფლება (ონლაინ ინტერვიუ, 23.05.2023). ამას საქართველოს მაგალითიც ადასტურებს, ვინაიდან, თუნდაც კალაძის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც პოლიტიკურ თანამდებობას იკავებს და აგრძელებს საკუთარი უფლებამოსილების გამოყენებას.

ცხადია, რესპონდენტებს კითხვა დავუსვით მოცემული სტატიის თეორიულ ჩარჩოსთან დაკავშირებითაც. მათი პასუხები დიდწილად მსგავსი იყო მცირე განსხვავებებით. მაგალითად, სპორტულმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ სსრკ-ს პერიოდში, პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი მექანიზმი იყო ის, რომ როგორმე იერარქიულად შენზე წინ მდგომი თანამდებობის პირი ჩამოგეშორებინა და მისი ადგილი დაგეკავებინა. ეს ფაქტორი დღესაც გამოყოლილი აქვს საზოგადოებას და სპორტსმენები, რომლებსაც სერიოზული ფინანსური და სოციალური კაპიტალი აქვთ, ცხადია, აღიქმებიან ელიტებად, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ უკვე საკუთარ ელიტურ წრეს აფართოებენ და ერთმანეთთან კოორდინაციით ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას (ონლაინ ინტერვიუ, 18.04.2024). აღნიშნული მოსაზრება მეორე თავში, საქარ-

თველოს მაგალითმა გაამყარა, ვინაიდან ქართველი პოლიტიკაში წასული სპორტსმენის მაგალითზე (კალაძე), შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი წრე კიდევ უფრო გაფართოვდა, ისევ და ისევ ყოფილი სპორტსმენების პოლიტიკაში და კონკრეტულად კახა კალაძის პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებით (ყაველაშვილი, კობიაშვილი). ერთ-ერთმა პოლიტოლოგმა ისიც აღნიშნა, რომ სპორტსმენებს, რომლებიც გარკვეულ ელიტად გვევლინებიან აქვთ რეჟიმის წინაშე გარკვეული ვალდებულებები. აღინიშნება კოოპტაცია რეჟიმსა და ხსენებულ პირებს შორის. მაგალითად, ციტატა ინტერვიუდან: „შეიძლება კობიაშვილი ოცნების წევრობით ხარკს იხდის ფედერაციის პრეზიდენტობისათვის“ (ონლაინ ინტერვიუ, 16.05.2024).

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ჩვენ მეორე თავის დასკვნით ნაწილშიც აღვნიშნეთ, პარტიული პოლიტიკის ექსპერტმაც დაადასტურა. აღნიშნული ტრენდი ეხება ყოფილი სპორტსმენების დიდი ნაწილის სახელისუფლებო პარტიებში გაწევრიანებას. მართლაც, სახელმწიფოთა მაგალითების განხილვისას შევამჩნევთ, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, სპორტსმენთა აბსოლუტური უმრავლესობა მმართველი პარტიის რიგებს უერთდება. მხოლოდ ერთეულები ხდებიან ოპოზიციონერები. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, ყოფილ სპორტსმენებს ყოველთვის ურჩევნიათ მმართველ გუნდთან დაკავშირება. ციტატა ინტერვიუდან: „ყოფილი სპორტსმენები სახელისუფლებო პარტიასთან, უკვე მეფის ნავში სხდებიან და არა ვთქვათ, ოპოზიციის“ (ონლაინ ინტერვიუ, 23.05.2023). ამ მოსაზრებას რესპონდენტი წინა ხელისუფლებების დროს არსებული მაგალითებით ამყარებს და ვლადიმერ გუცაევის, ლევან თედიაშვილის და გიორგი ასანიძის სახელისუფლებო პარტიებთან კავშირს იხსენებს.

საბოლოო ჯამში, მეორე თავში შესრულებული შემთხვევების ინსტრუმენტული ანალიზისა და ექსპერტების ინტერვიუების ვიზუალიზაცია შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. სქემა N2):

სქემა N2. სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართვის განმაპირობებელი ფაქტორები და მოტივაციები



დასკვნა

მოცემული ნაშრომის მიზანი ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი გახლდათ. ამდენად, ეს კვლევა, სპორტსმენთა პოლიტიკაში ინტეგრაციის გამოკვეთის მაგალითებს მოიცავდა აღმოსავლეთევროპულ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებსა და საქართველოში. კვლევის პროცესში ჩატარდა ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან, უფრო კონკრეტულად, პოლიტოლოგებთან და სპორტულ ჟურნალისტებთან. ასევე ნაშრომის ნაწილი დაეთმო აღმოსავლეთევროპულ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა აღწერით და ინსტრუმენტულ ანალიზს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა თუ რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ინტეგრაციას ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებში. ექსპერტებთან ინტერვიუმ გვაჩვენა, რომ სპორტსმენთა პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობაზე დიდ გავლენას ახდენს პოსტსაბჭოთა წარსული, რომელიც აღნიშნულ სახელმწიფოებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ექსპერტების აზრით, საბჭოთა გამოცდილებამ ჩამოაყალიბა ქვეშევრდომის პოლიტიკური კულტურა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პარტიული სისტემის სიმყიფე, რაც პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების პოპულარულ სახეებთან მიჯაჭვულობას და პარტიების მხრიდან ცნობადი სახეების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, ყოფილ სპორტსმენებს ეხსნებათ შედარებით მარტივი გზა პოლიტიკისაკენ და ისინიც, თავის მხრივ, ამ გზით სარგებლობას ცდილობენ.

რაც შეეხება თავად სპორტსმენების ცვლილებას პარტიულ პოლიტიკაში ჩართვის შემდეგ, აქ ვხვდებით ორ მიმართულებას. ექსპერტთა აზრის შესწავლისა და შემთხვევის ანალიზის შედეგად, პირველი გზა შემდეგნაირად გამოიყურება: ყოფილი სპორტსმენები დიდად ვერ ცვლიან პოლიტიკურ დღის წესრიგს და ვერც თავად იცვლებიან. ისინი რჩებიან კონფორმისტულად პარტიის მიმართ და უბრალოდ იმას აკეთებენ, რაც პარტიის ინტერესების ნაწილია. მეორე მიმართულებაში კი იკვეთება ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც თანამდებობით სარგებლობას იწყებენ. ეს გამოიხატება იმაში, რომ, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ხშირად ისინი პირადი მიზნებისთვის იყენებენ დაკავებულ თანამდებობას. მაშასადამე, ისინი მაქსიმალურად უახლოვდებიან მმართველ ეშელონებს, ცდილობენ დაიცვან საკუთარი ფინანსური კაპიტალი და ფაქტობრივად, გარდაიქმნებიან პოლიტიკურ ელიტად. შემთხვევის ანალიზმა გამოკვეთა, რომ ჰიბრიდული რეჟიმები აქტიურად იყენებენ ყოფილ სპორტსმენთა იმიჯსა და რეიტინგს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რაც უფრო ავტორიტარიზმისკენაა რეჟიმი მიდრეკილი (რუსეთი, ბელორუსი), მით ნაკლებად გვხვდებიან ყოფილი სპორტსმენები ოპოზიციურ პარტიულ ასპარეზზე.

მოცემული ნაშრომის თეორიული ჩარჩო გახლავთ ელიტისტური თეორია, რომელიც განაპირობებს პოპულარული და დადებითი იმიჯის მქონე სპორტსმენების პოლიტიკურ ელიტად ფორმი-

რებას, რაც აღნიშნულ სპორტსმენებს გავლენიან ელიტურ ჯგუფად აყალიბებს. ექსპერტებთან ინტერვიუმაც და სახელმწიფოთა შემთხვევის შესწავლამაც გვაჩვენა, რომ აღნიშნული თეორია ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობას შეესაბამება. მართლაც, ყოფილ სპორტსმენებს აქვთ აბსოლუტურად ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ ელიტად წარმოჩინდებოდნენ, ვინაიდან, გავლენა, ფინანსური და სოციალური კაპიტალი, რეპუტაცია, უწყობთ ხელს, პოლიტიკურ დღის წესრიგზე გავლენის მოხდენის ამბიცია და საშუალება ჰქონდეთ. შემდგომ კი, პოლიტიკაში ჩართვის შედეგად, ისინი უკვე პოლიტიკურ ელიტებად გარდაიქმნებიან, რა დროსაც, პარტიები მიმართავენ კოოპტაციის ხერხს. აღნიშნული ხერხი კი გულისხმობს იმას, რომ პარტია ხელს უწყობს ყოფილი სპორტსმენის პოლიტიკური ელიტის წევრად კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არსებობას, სანაცვლოდ კი მისგან მორჩილებასა და ლოიალობას მოითხოვს.

მოცემული კვლევა არის ქართული სამეცნიერო ლიტერატურის გამრავალფეროვნების ერთგვარი მცდელობა. ყოფილი სპორტსმენების პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის თაობაზე, ქართულ აკადემიურ სფეროში, ლიტერატურის სიმცირე აღინიშნება. ამდენად, მოცემულ კვლევას აქვს მოლოდინი და ამბიცია იმისა, რომ იქნება სიახლე და საკუთარ მოკრძალებულ წვლილს შეიტანს აღნიშნული აკადემიური ქვედარგის განვითარებაში.

ბიბლიოგრაფია

- Aljazeera. (2022). Meet Zhan Beleniuk, Ukraine's Olympic wrestler and first Black MP. Retrieved from https://www.aljazeera.com/news/2022/11/11/zhan-beleniuk-ukraines-olympic-gold- wrestler-and-first-black-mp
- BBC.com. (2013). Retrieved from https://www.bbc.com/news/magazine-22522995
- Boxrec.com. (2024). Retrieved from https://boxrec.com/en/proboxer/7033
- Britannica.com. (2024). Retrieved from https://www.britannica.com/biography/Aleksandr- Karelin
- Coakley, J. (1994). Sports and politics: Can they be kept separate?
- Collins, N. (2024). Britannica.com. Retrieved from https://www.britannica.com/biography/Vitali- Klitschko
- Crane, P. (2022). scripps news. Retrieved from https://scrippsnews.com/stories/the-rise-of- athletes- turned-politicians/
- Crowther, N. (1996). Athlete and state: Qualifying for the Olympic Games in ancient Greece.
- De La Garza, M. S., & Adami, P. E. (2020). Definition of athletes and classification of sports.
- derstandard.de. (2023). Retrieved from https://www.derstandard.de/story/3000000181111/black-mp-beleniuk-i-am-the- living- example-of-ukraine-being-a-tolerant-country
- Darsania, N. (2023). Particularities of recruitment and circulation of the political elite in Georgia.
- Dw.com. (2012). Retrieved from https://www.dw.com/en/ukrainian-footballer-shevchenko- enters- politics/a-16129613
- Err.ee. (2018). Retrieved from https://www.err.ee/875767/madis-kallas-erki-noolele-sport-ja- sotsiaaldemokraatia-sobivad-kokku-kull
- Formulanews.ge. (2020). ქართული ოცნების პარტიული სია ცნობილია. Retrieved from https://formulanews.ge/News/37493
- Geonoc.org.ge. (2012). Retrieved from https://geonoc.org.ge/museum/index.php?lang_id=GEO&sec_id=3

- Globsec.org. (2018). Retrieved from https://www.globsec.org/what-we-do/commentaries/should- athletes-speak-political-and-social-issues
- Hassan, D. (2019). Sport and politics in a complex age.
- Houlihan, B., & Zheng, J. (2017). Small states: Sport and politics at the margin.
- Interkomitet.com. (2024). Retrieved from https://interkomitet.com/about-the- committee/committee- members/svetlana-zhurova/
- Kreft, S. M. (2022). Sport and politics in the twenty-first century.
- Kuțiże, D. (2022). Sports and politics - How propaganda of non-democratic regimes exploits sports and sportsmen.
- Lishchynska, I. (2023). Sports out of the politics.
- Makhmetov, A. (2019). Teil II: Die Anwendung von Herrschaftstechniken als Wahltechniken in Kasachstan (Empirie).
- Makarychev, A., & Yatsyk, A. (2016). Introduction: Sports, politics and boundaries: Playing the inclusion/exclusion games.
- Meier, H., Gerke, M., & Mutz, M. (2023). The public legitimacy of elite athletes' political activism: German survey evidence.
- Meeuwsen, S., & Kreft, L. (2022). Sport and politics in the twenty-first century.
- Mosca, G. (1935). The ruling class (Paperback).
- Nam, D. H. (1996). A descriptive study of college students' opinions on the link between sports and politics in the Republic of Korea.
- Novinite.com. (2009). Retrieved from https://www.novinite.com/articles/104154/Football+Legend+Stoichkov+Slams+Deput y+Minis ter+Dismissal
- Palatinate.org.uk. (2016). Retrieved from https://www.palatinate.org.uk/women-in-politics- alina- kabaeva-olympic-arena-to-state-duma/
- Pareto, W. (1901). The rise and fall of the elites.
- Politico. (2013). Retrieved from https://www.politico.eu/article/political-heavyweight/
- President.gov.by. (2024). Retrieved from https://president.gov.by/en/president/administration/rukovodstvo

- Qadeer, A. (2021). Power politics of sports in international relations and its effects on cricket.
- Radiotavisupleba.ge. (2019). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/ფეხბურთის- ფედერაცია-არჩევნები-სპორტის-მოლოდინში/31488385
- Radiotavisupleba.ge. (2020). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/30868374.html
- Radiotavisupleba.ge. (2020). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/მილიონერი- დეპუტატები-ბოიკოტი/30868374.html
- Radiotavisupleba.ge. (2021). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/კახა- კალაძე-ისევ-მერის-პოსტზე-დასარჩენად/31488385.html
- Radiotavisupleba.ge. (2021). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/ვლადიმერ-ხინჩეგაშვილმა-სპორტული-კარიერა-დაასრულა/31391987.html
- Radiotavisupleba.ge. (2024). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/32837368.html
- Radiotavisupleba.ge. (2024). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/32967220.html
- Radiotavisupleba.ge. (2024). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/გვარამია- მელია არჩევნების-მოლოდინში/32837368.html
- Romano, J. (2022). Marca. Retrieved from Marca.com.
- Rupep.org. (2024). Retrieved from https://rupep.org/en/person/14883
- Salazar-Sutil, N. (2008). Maradona Inc: Performance politics off the pitch.
- Scmp.com. (2022). Prominent Russian athletes like Andrey Rublev and Nikita Zadorov speak out against war with Ukraine. Retrieved from https://www.scmp.com/sport/other- sport/article/3168701/prominent-russian-athletes-andrey-rublev-and-nikita-zadorov- speak
- Shen, J., & Shrimpton, C. (2021). Sports at play in American politics.
- Silecky, M. (2013). The post-Soviet development of elite-level athletics in Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan, and Uzbekistan.

- Topendsports.com. (2024). Retrieved from https://www.topendsports.com/sport/soccer/awards/ballondor-2004.htm
- Tribune.com.pk. (2023). Retrieved from https://tribune.com.pk/story/2401112/history- should-teach-bach-a-lesson-saladukha
- Ukraineworld.ge. (2023). Why sport is never beyond politics when it comes to Russia. Retrieved from https://ukraineworld.org/en/articles/infowatch/sport-russia
- Washburn, J. (1955-1956). Sport as a Soviet tool.
- Wright, S. (1977). Are the Olympics games? The relationship of politics and sport.
- Youtube.com. (2021). Дикие деньги Отари Квантришвили: как шулер стал криминальным авторитетом. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=ilmkqmXko10&t=436s

Tornike Goglidze.

The Invilvement of Sportsmen in Party Politics of the Post-Soviet States: A Comparative Analysis

Abstract

In the article, a study was conducted to study and analyze the trends of former sportsmen's involvement in party politics in Eastern European post-Soviet states. The paper aims to reveal the main reasons that determine the involvement of former sportsmen in party politics. The research paper uses qualitative research methods, including in-depth interviews and scientific and academic literature reviews. Also, case studies and document analysis. The study tries to explain the involvement of former athletes in party politics through the elitist theory of Pareto, Mosca, and Michels. Therefore, two assumptions were made: first, the involvement of former athletes in politics in the post-Soviet states is determined by their popularity and awareness. Second, after becoming involved in party politics, popular athletes put more emphasis on increasing the party's rating by using their popularity than on political activity. Therefore, the present article focuses on confirming or rejecting the existing assumptions. The mentioned research is, to some extent, a novelty since the amount of Georgian academic literature related to the given issue is quite small.

Keywords: athletes, politics, post-Soviet, party, elite.